

ახალშობილთა ოჯახების დახმარების პროგრამა

(კონსოლიდირებული)

1. პროგრამის დაფინანსების წყარო:
ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.
2. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:
ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური.
3. პროგრამის მიზანი:
ახალშობილთა ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების გაწევა და დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესების სტიმულირება.
4. განსახორციელებელი ღონისძიებები:
მოქალაქეთა განცხადებების, თანდართული დოკუმენტების განხილვა, შესაბამისი რეაგირება და ბენეფიციარებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა შემდეგი ოდენობით:
 - ა) პირველ შვილზე 300 (სამასი) ლარი, მეორე შვილზე 350 (სამასორმოცდაათი) ლარი, მესამე შვილზე 400 (ოთხასი) ლარი, მეოთხე და ყოველ მომდევნო შვილზე 500 (ხუთასი) ლარი;
 - ბ) ტყუპების შემთხვევაში, თითოეულ ბავშვზე 500 (ხუთასი) ლარი;
 - გ) თუ ახალშობილის ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მისი სარეიტინგო ქულა 1-დან 120 000-მდეა, ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული დახმარების ოდენობა გაიზრდება 20 (ოცი) %-ით.
5. დახმარების მიღების აუცილებელი პირობა:
 - ა) სავალდებულოა ახალშობილის ერთ-ერთი მშობელი ახალშობილის დაბადებამდე ბოლო ერთი წლის განმავლობაში უწყვეტად იყოს რეგისტრირებული და ფაქტიურად ცხოვრობდეს ვანის მუნიციპალიტეტში;
 - ბ) სავალდებულოა ახალშობილი დაბადებიდან არაუგვიანეს მე-10 დღიდან განცხადების შემოტანამდე ან განცხადების შემოტანამდე ბოლო 180 დღის განმავლობაში უწყვეტად იყოს რეგისტრირებული ვანის მუნიციპალიტეტში.
6. დამატებითი ინფორმაცია:
 - ა) დახმარება მიეცემა ახალშობილის დედას ან მამას. დედის და მამის მიერ დახმარების მიღების შეუძლებლობის შემთხვევაში, დახმარება მიეცემა ერთ-ერთი მათგანის მიერ უფლებამოსილ პირს ან ახალშობილის ოჯახის კანონიერ წარმომადგენელს;
 - ბ) დახმარება გაიცემა ახალშობილის ოჯახზე ერთჯერადად, ბავშვის ერთი წლის ასაკის შესრულებამდე;
 - გ) დახმარების მისაღებად განცხადებასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნეს ბავშვის დაბადების მოწმობა, მშობლების („ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში - დახმარების მიმღები პირის) პირადობის მოწმობა, საბანკო რეკვიზიტი, ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის ცნობა, ოჯახის ვანის მუნიციპალიტეტში ახალშობილის დაბადებამდე ბოლო ერთი წლის განმავლობაში ფაქტიურად ცხოვრების შესახებ.
 - დ) სამსახურს საჭიროების შემთხვევაში უფლება აქვს მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.
7. მოსალოდნელი შედეგი:
ახალშობილთა ოჯახების მატერიალური და მორალური თანადგომა.
8. შეფასების კრიტერიუმი:
დემოგრაფიული პროცესების გაუმჯობესების მაჩვენებელი.